



ინფორმაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ

1. გამოყოფილი თანხის რაოდენობა, მთლიანი
ბიუჯეტის რამდენ პროცენტს შეადგენს:

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში 2017 წელს
შემოვიდა 107 საპროექტო განაცხადი, რომლისთვისაც
ბიუჯეტში ჩაიდება 4 მლნ-ზე მეტი თანხა.

2. საბჭოები, სამოქალაქო ბიუჯეტის სამუშაო ჯგუფები

პროექტის ფარგლებში არსებობს „სამოქალაქო
ბიუჯეტის მხარდამჭერი“ საბჭო, რომელიც
დაკომპლექტებულია გამგებლის მოადგილეებისგან და
გამგეობის სამსახურის უფროსებისგან. თავმჯდომარე
უფლებამოსილია საბჭოს შემადგენლობაში გენდერული
თანასწორობის დაცვის, ასევე არასამთავრობო
ორგანიზაციების მონაწილეობის მიზნით, მოიწვიოს
შესაბამისი ცოდნის/გამოცდილების მქონე
სპეციალისტები/ექსპერტები, ხოლო ადგილობრივი





საჭიროებების გაცნობის მიზნით მოიწვიოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი. საბჭოს სხდომაზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს სურვილის შემთხვევაში. „სამოქალაქო ბიუჯეტის“ მხარდამჭერი საბჭო განიხილავს კონკრეტული დასახლებიდან წარმოდგენილ ინიციატივებს და აფასებს მათ საჭიროებას, პრიორიტეტულობას და საზოგადოებრივ ინტერესს.

კერძოდ საბჭო მოქმედებს შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით: სამართლებრივი ასპექტები (არის თუ არა მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი); ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება ტექნიკური თვალსაზრისით), ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი სავარაუდო ღირებულების შეფასება); პროექტების, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების განხილვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში ავტორთან





შეთანხმებით ხდება პროექტის შესწორება. საბოლოო გადაწყვეტილებას კი იღებს მოსახლეობა კონსესუსის მიღწევის საფუძველზე.

აღსანიშნავია, სამოქალაქო ბიუჯეტის მხარდამჭერი საბჭოს წევრები, რომლებიც პროექტის საინფორმაციო კამპანიის წარმოების ეტაპზე ქმნიან სამუშაო ჯგუფებს და ერთობლივად პარალელურ რეჟიმში მიდიან სხვადასხვა ზონაში და აცნობენ პროექტის შესახებ ინფორმაციას.

3. რეგიონის/ქალაქის ზონებად დაყოფა

2017 წელს მარნეული დაიყო 18 ზონად. 2016 წელს იყო 6 ზონა. 2015 წელს კი 3.

4. გამოყოფილი თანხების განაწილება

თანხის განაწილება თითო ზონაზე არ ყოფილა.

5. ვის შეუძლია მიიღოს მონაწილეობა?

პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქმედუნარიან 16 წლის ასაკს





მიღწეულ მოქალაქეს შესაბამისი მეურვის თანხმობით, ხოლო 18 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე მსგავს თანხმობას არ საჭიროებს. მონაწილეობა ეკრძალება საჯარო მოხელეს.

6. რა პროექტები შეიძლება წარადგინონ?

ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული, გარემოსდაცვითი, სპორტული მიმართულებების.

7. ეტაპები და გრაფიკი (სახელი, ხანგრძლივობა, ძირითადი ქმედებები და რეგულაციები):

შეიქმნება მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც გულისხმობს საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, სამუშაო ჯგუფების დაკომპლექტებას, წინა წლის გამოცდილების შეჯამებას და ხარვეზების აღმოფხვრას, სამოქმედო გეგმის დასახვას; **ხანგრძლივობა - 2 კვირა.**





✚ მოქალაქეების მხრიდან პროექტების წარდგენა.

ხანგრძლივობა - ერთი თვიდან -თვე ნახევრამდე.

✚ საბჭოს მიერ პროექტების განხილვა და

რეკომენდაციების გაცემა. ხანგრძლივობა

პროექტების შემოსვლის ვადის ამოწურვიდან

არაუგვიანეს 10 დღისა.

✚ საბჭოს წევრების მიერ მოქალაქეებისთვის

შედეგების გაცნობა და ერთობლივი მსჯელობა ამა

თუ იმ პროექტის პრიორიტეტულობაზე, კონსესუსის

მიღწევა.

8. ვინ მონაწილეობს (ჩართულია)სამოქალაქო

ბიუჯეტის პროცესში მუნიციპალიტეტის მხრიდან?

საბჭოს წევრები გამგეობის შესაბამისი სამსახურების

(ანალიზისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახურის, ინფრასტრუქტურის სამსახურის, ქონების

მართვის სამსახურის და საფინანსო საბიუჯეტო

სამსახურის) თანამშრომლები.

